91 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



91 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №7 (7130) 1 აპრილი, 2025 წელი

გაზაფხულის კიდევ ერთი დაუვიწყარი საღამო

17 მარტს კულტურის სახლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების საინტერესო აქტივობებით დატვირთული საღამო, რომელიც კიდევ ერთხელ მიეძღვნა გაზაფხულს და ტრადიციულ ქალთა დღეებს. საღამოს მონაწილეებმა პატივი მიაგეს და მადლიერება გამოხატეს იმ ქალბატონების მიმართ, რომელთა ღვაწლი, თავდადება და როლი სამყაროში შეუცვლელია... ამასთან, სადღესასწაულო განწყობა შეუქმნეს, მოეფერენ და მადლიერება გამოხატეს ყველა იმ ქალბატონის მიმართ, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ ჩვენი მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში.

და კიდევ უმნიშვნელოვანესი ნაწილი ამ საზეიმო დღისა: საჯარო სკოლებისა და კერძო სკოლა „მზეკაბანის“ 2022-2023 სასწავლო წლის მედალოსნების დაჯილდოება. იყო სხვა სიურპრიზებიც...

☞3

აპრილი...

დადგა გაზაფხულის მეორე თვე...

აპრილი სწორედ ის თვეა, როცა გამორჩეულად ჩანს თუ როგორ იღვიძებს დედაბუნება...

წლევანდელი აპრილი ბრწყინვალე აღდგომის თვეა...

ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი 20 აპრილს აღინიშნება. მეორე დღე—21 აპრილი კი საფლავთა კურთხევის, მიცვალებულთა მოხსენიების დღეა.

(სააღდგომო დღეებისადმი მიძღვნილი გაზეთი „თერჯოლა“ 15 აპრილს გამოვა)

აპრილში ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საეკლესიო და საერო დღეცაა...

7 აპრილი—ხარება

9 აპრილი—ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის დღე

13 აპრილი—ბზობა

14 აპრილი—დედაენის დღე

15 აპრილი—სიყვარულის დღე

14-19 აპრილი—ვნების კვირეული

გოგი გეგეჭკორი, არტისტი, რომელიც ამაყობდა თერჯოლის საპატიო მოქალაქეობით

☞6

პილიგრიმი—წმინდა ადგილებში სალოცავად მიმავალი...

☞7

ჩვენმა სპორტსმენებმა კიდევ ერთხელ გაგვახარეს!

გასულ თვეში კიდევ ერთხელ გაგვახარეს საქართველოს რაგბის და ფეხბურთელთა ნაკრებებმა...

რაგბისტები ევროპის ჩემპიონები გახდნენ, ფეხბურთელებმა კი სომხეთის ნაკრების დამარცხებით ადგილი შეინარჩუნეს B დივიზიაში!

სამწუხაროდ, ფეხბურთის ვაიგულშემატკივრებმა ეს სიხარული არ შეგვარგეს—მათი უღირსი საქციელის გამო შეიძლება უეფამ მკაცრად დაგვსაჯოს.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში

მიმდინარე წლის 14 მარტს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, მოადგილეებთან ზვიად ბაზაძესა და მირზა ქოჩიაშვილთან ერთად გამართა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებთან.

შეხვედრაზე საბჭოს წევრებმა იმსჯელეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მთავარ პრიორიტეტებზე, განსახორციელებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ასევე იმსჯელეს 2025 წელს „სახლდაზიანებული მოქალაქეების სოციალური პროგრამის“ შესახებ, რომლის ფარგლებშიც წელს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 8 სოციალურად დაუცველ მოქალაქეს აუშენდება ახალი სახლი.

ხელმძღვანელმა პირებმა საბჭოს წევრებისგან გარკვეული მოსაზრებები მოისმინეს, რომლებიც სამომავლოდ იქნება გათვალისწინებული, ასევე თითოეულ მათგანს მადლობა გადაუხადეს მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისთვის და თანამშრომლობისთვის.

შეხვედრას მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მრჩეველთა საბჭო შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნის შესაბამისად. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათისაა.

მერის მრჩეველთა საბჭოს მიზანია, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობა, მათი ინტერესების გათვალისწინება და გამჭვირვალობა.

საგზაო ინფრასტრუქტურა

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ამ ეტაპზე რეგიონული განვითარების ფონდიდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, ორი სოფლის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

რეაბილიტაციის პროცესის მონიტორინგის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ეს სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან ერთად.

ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში სოფ. ბარდუბანში ხორციელდება ავტობანთან ვერულაშვილები-ბოჭორიშვილები-გრძელიძეების უბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, პროექტის ფარგლებში ეწყობა არმირებული ბეტონის საფარი და სანიაღვრე სისტემა, სამუშაოებს ასრულებს შპს „ალპედე“. პროექტის ღირებულებაა 208951 ლარია;

მეორე პროექტს კი სოფ. სიქთარვაში, ცხადაძეების უბნის გზის რეაბილიტაციას ახორციელებს შპს „ჯეო როუდ ინვესტი“. პროექტი ფარგლებშიც ეწყობა არმირებული ბეტონის საფარი. სამუშაოების ღირებულება 99922 ლარია.

შეხვედრას სოფლის დეპუტატები და მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გზა რეაბილიტირებულია

სიქთარვის ცენტრიდან გზა ოთხი მიმართულებით მიდის, რომელთაგან ერთი წყლის წისქვილისკენ. მართალია წისქვილი აღარ არის მოქმედი, სათავე-ნაგებობიან-შენობიანა მწყობრიდან არის გამოსული, მაგრამ გზის ამ მონაკვეთს, ძველებურად, წყლის წისქვილისაკენ მიმავალს ვუწოდებთ და ასე იქნება მომავალშიდაც. ამ გზის ნაპირზე და ცოტა სიღრმეში რამდენიმე გვარი ცხოვრობს და ათეულობით ოჯახი. ამ გზით სარგებლობა ფეხით თუ მანქანით სოფლის მოსახლეობის დიდ ნაწილს ჭირდება: ცხადაძეებს, სირბილაძეებს, ფოფხაძეებს, რობაქიძეებს, სულამანიძეებს, ტოფაძეებს, ყველას სტუმარს თუ ადგილობრივს.

წლების განმავლობაში გზაზე იყრებოდა ხრეში, რომელიც წვიმისგან ირეცხებოდა და მეორე წელს კვლავ ხელშესავლები იყო.

წელს, დიდთოვლობის შემდეგ გზის ამ მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო და უკვე დამთავრდა. 400 მეტრ (შეიძლება ცოტა მეტიც) გზაზე რეგიონული განვითარების ფონდიდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით არმირებული ბეტონის საფარი დაიგო. სამუშაო 99922 ლარი დაჯდა, სამუშაო შპს „ჯეო როუდ ინვესტმა“ შეასრულა.

ხალხი კმაყოფილია და მადლობელი მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ადამიანებზე ზრუნვის ამ მაგალითით.

მხარდაჭერა ბავშვიან ოჯახებს...

ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების პროგრამის ფარგლებში, გასულ თვეში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში მორიგი სოციალური აქცია განხორციელდა.

შეჭირვებული და შშმ ბავშვიანი ოჯახების დასახმარებლად და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და ბავშვთა დაცვის და ზრუნვის განყოფილების ორგანიზებით, ასეთ რამდენიმე ოჯახს 5500 ლარის საყოფაცხოვრებო ნივთები შეუძინეს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, (ტექნიკა, ავეჯი) პირადად მიუტანა და გადასცა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილთან ერთად.

გასულ წელს ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების პროგრამით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან სულ 22 000 ლარამდე დაიხარჯა.

„გააუმჯობესე ჩვენი მხარდამჭერი სისტემები“!

ამ სლოგანით აღინიშნა 21 მარტი—დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე.

დაუნის სინდრომის საერთაშორისო კამპანიაში თერჯოლის მუნიციპალიტეტიც ჩაერთო. ადგილობრივ ღონისძიებებს ორგანიზება მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა გაუწია, დღის ცენტრ „საპოვნელაში.“

• ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა მუნიციპალიტეტში არსებული ორი დღის ცენტრის აღსაზრდელთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, ჭრელი წინდების აქცია.

• დაუნის სინდრომის დღის მიმოხილვისა და ინფორმაციის გაზიარების შემდეგ კი, ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლი „ჭიუხი“ წარსდგა სასიმღერო ნომრებით.

• აქტივობაზე ნაჩვენები იქნა სოფელ ეწრის სკოლის მეექვსე კლასელთა ანიმაცია, რომელიც მოსწავლეებმა სპეციალურად ამ დღისთვის შექმნეს.

• „მზის სხივის“ და „საპოვნელას“ ბენეფიციარებთან ინტეგრირებულად შესრულდა სხვადასხვა სახალისო ნომრები, მოეწყო ფერების აქტივობა.

• დღის ცენტრებს და შეკრებილ სტუმრებს სიტყვით მიმართეს ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელმა პირებმა, რომლებიც აღსაზრდელებთან ერთად, ღონისძიების რამდენიმე აქტივობაშიც ჩაერთნენ.

• ღონისძიების დასასრულს ცენტრის ბავშვები განსაკუთრებით, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაკეთებულმა სიურპრიზმა გაახალისა. მოწვეული ზღაპრის გმირების გასართობი-მუსიკალური ნომრების ნახვის შემდეგ, მოსწავლეებმა მათთან ერთად სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს.

• 21 მარტს, საქართველოში ტყის დაცვის დღეც აღინიშნება, ღონისძიების მონაწილეებმა სიმბოლურად ცენტრის ეზოში ხეებიც დარგეს.

უფასო სამედიცინო აქცია ალისუბანში...

გასულ თვეში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ალისუბნის ამბულატორიაში თვალის უფასო აქცია ჩატარდა. ალისუბანსა და მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ პენსიონერებს სხვადასხვა სახის გამოკვლევა ჩაუტარეს ადეიშვილის კლინიკის ოფთალმოლოგებმა და ენდოკრინოლოგებმა.

სოციალური აქცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა.

გაზაფხულის კიდევ ერთი დაუვიწყარი საღამო

1☞

ულამაზესი ფერებითა და უამრავი ყვავილით მოურთავთ სცენა, დარბაზი გადავსებულია, აშკარად დიდი ინტერესი და მოლოდინია საზეიმო კონცერტისა. როგორც დაანონსებულია წლის ერთ-ერთ უმთავრეს საგაზაფხულო ღონისძიებას კულტურის სახლთან არსებული სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლები წარმოადგენენ.

სცენაზე სანთლები აციმციმდა, წამყვანი, მშვენიერი ქალბატონიც უკვე ესალმება მაყურებელს, რაც იმის მაუწყებელია, რომ ღონისძიება იწყება.

მცირე ინფორმაცია

ლამაზი მისალმების, დედისა და ქალთა დღის მნიშვნელობაისა და აღნიშვნის თაობაზე—შემდეგ კონცერტს ხსნის ქორეოგრაფიული ქალთა ანსამბლი იმერეთი ცეკვით „ნარნარი“.

სცენაზე მართლაც დანარნარებს მომაჯადოებელი სილამაზე. აპლოდისმენტების ფონზე ქორეოგრაფებს **ირინა ბუცხრიკიძეს** და **თამარ ჭანკვეტაძეს** ყვავილებს მიართმევენ და... „უზომო პატივისცემა და აღტაცება მათ შეუდარებელი შრომისათვის, რომელიც ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნების შენარჩუნებასა და განვითარებას ისახავს მიზნად“, ეს მცირე ამონარიდია წამყვანის სიტყვებიდან, რომლითაც ქორეოგრაფების საქმიანობას გაუსვა ხაზი.

ანსამბლი „მასპინძელო“, რომელმაც არაერთი ლამაზი ფურცელი ჩაწერა თერჯოლის კულტურული ცხოვრების ისტორიაში: წამყვანი რვა მარტს ულოცავს ანსამბლის ხელმძღვანელს ქალბატონ **ინეზა ბუცხრიკიძეს,** გამოხატავს პატივისცემას იმ ღირსეული და მნიშვნელოვანი სამსახურისათვის და გაწეული მუშაობისათვის, რომელიც ქართული ფოლკლორის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში შეაქვს...

კონცერტი გრძელდება ქორეოგრაფიულ ანსამბლ „საპოვნელას“ დებიუტით—„პოპური“.

ახლა კი სცენაზეა ფოლკლორული ანსამბლი „იმერეთი“, ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი, ანსამბლი განვლილი წლებით, მრავალფეროვანი რეპერტუარით, ძველი სიმღერების უზადო შესრულებით მუდამ იყო და არის ერთ-ერთი გამორჩეული და რაიონის კულტურულ ცხოვრებაშიც თავისი ადგილი უკავია.

კონცერტის შემდეგი მონაწილეა, ქალთა ანსამბლი „იამე“, ანსამბლი, რომელმაც დაარსებიდანვე უმოკლეს ხანში, უნიკალური ჟღერადობით და შესრულების ხელოვნებით შეძლო მსმენელის მოჯადოება. ქალბატონო, გულთამზე და ძვირფასო ქალბატონებო, ჩვენ ვამაყობთ თქვენით და იმ დიდი მემკვიდრეობით, რომელსაც სიმღერებით ქმნით. თქვენი პროფესიონალიზმი, თქვენი შრომა გაცილებით მეტია, ვიდრე სიმღერა. ესაა კულტურის ისტორია, აწმყო და მომავალი, გმადლობთ იმ ძალისხმევისთვის და თითოეული ნაბიჯისათვის, რომელიც ჩვენი კულტურისათვის გადადგით“, მიმართა „იამეს“ წამყვანმა და თითოეულ ქალბატონს ყვავილებიც მიართვეს...

კიდევ ერთი პრემიერა სცენაზე, ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმერეთი“ ცეკვა „ყაზბეგურით“.

კონცერტი გრძელდება, სცენაზე ერთმანეთს ენაცვლება ანსამბლები... სასიმღერო თუ საცეკვაო ნომრებით...

თერჯოლის სახალხო თეატრის მსახიობის თინათინ პატარიძის სცენაზე მიწვევას დარბაზი აპლოდისმენტებით ხვდება: „მოგესალმებით ქალბატონო თინათინ, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ რვა მარტს. თქვენ არა მხოლოდ მსახიობის, არამედ ადამიანის პიროვნული სილამაზის ცოცხალი მაგალითი ბრძანდებით. თქვენმა ნიჭმა შექმნა გამორჩეული და დასამახსოვრებელი პერსონაჟები, რომლებსაც დღემდე ვიხსენებთ. გისურვებთ ჯანმრთელობას, უდიდეს ბედნიერებას და ყოველი მომავალი დღეების სილამაზეს.

ქალბატონ თინათინს მიესალმა, ქალთა დღე მიულოცა აპლოდისმენტების ფონზე ყვავილები და სპეციალურად მისთვის დამზადებული პრიზი გადასცა მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ.

ემოციური იყო ეს ყველაფერი ქალბატონი თინასთვის... მან მადლიერება ცრემლიანი თვალებით გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერიას, კულტურის ცენტრსა და კულტურის სახლს, განსაკუთრებული მადლობა კი რეჟისორს, მამუკა ცერცვაძეს...

ისევ ანსამბლებია მონაცვლეობით სცენაზე, გუგუნებს მრავალხმიანი სიმღერები, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება. ცეცხლი ანთია და სილამაზე ტრიალებს, სცენაზე ამჯერად „ჯეოგენის“ ახალი ცეკვის პრემიერა ანცვიფრებს მაყურებელს... ცეკვა „ყაზბეგურისას“, თუ „აფხაზურის“ შესრულებისას ხომ საერთოდ საოცრება ხდება, ქართული გენისა და ვაჟკაცობის ზეიმი გულგრილს ნამდვილად არავის დატოვებს...

„იმერეთის გულის გულო“ (ეძღვნება თერჯოლას)

ასე ჰქვია ახალ სიმღერას, რომლის იდეის ავტორია თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, სიმღერის ტექსტის ავტორი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ ისაკაძე, ხოლო მუსიკის ავტორი მუსიკოსი ბესო გოგოლაშვილი.

საპრემიერო სიმღერით მაყურებელთა წინაშე წარსდგა ანსამბლი „მასპინძელო“, რომელმაც ხანგრძლივი აპლოდისმენტები დაიმსახურა...

საზეიმო ღონისძიების პირველი ნაწილის დასასრულს ქალბატონების და წარჩინებული ახალგაზრდებისადმი მისასალმებელი სიტყვით მაყურებელთა წინაშეა მაკა ასათიანი—მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი გამოვიდა. ☞8

ახალი საგანმანათლებლო პროექტი— „ვირჩევთ პროფესიას“

თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრი (ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე) ახორციელებს 2024-2025 სასწავლო წლის პროექტს „ვირჩევთ პროფესიას“. ამ პროექტის ფარგლებში უკვე ჩატარდა ესეების, ხატვის და კალიგრაფიის კონკურსი. მიმდინარეობს ღია გაკვეთილები. მიუხედავად იმისა, რომ პროექტში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი, მასში ჩაერთო კერძო და ყველა საჯარო სკოლა.

რუფოთის საჯარო სკოლა

რუფოთის საჯარო სკოლაში (დირექტორი კოტე გოგიაშვილი) ჩატარდა ინტეგრირებული შემაჯამებელი გაკვეთილი ქართულსა და ინგლისურში, მესამე კლასში (მასწავლებლები: მაია დოლაკიძე, ნათია გოგისვანიძე) თეამაზე „ყველაზე მნიშვნელოვანი რამ“, ირინე იაშვილის ზღაპრის მიხედვით. გაკვეთილის მიზანი იყო—მოსწავლეებმა შეძლონ მხატვრული ნაწარმოების გაგება-გააზრება, პერსონაჟების ქცევის შეფასება, ლექსიკური მარაგის გამდიდრება თემის შესაბამისი სიტყვებით.

გაკვეთილი დაგეგმილი იყო სხვადასხვაგვარი აქტივობებით: საორგანიზაციო საკითხების მოგვარების შემდეგ ქართულის მასწავლებელმა ბავშვებს მიუთითა აქტივობების ჩამონათვალისათვის მიექციათ ყურადღება, რაც მასწავლებელს თვალსაჩინო ადგილზე ჰქონდათ გამოკრული. მასწავლებელმა ჩამოთვალა თუ რა აქტივობებს განახორციელებდნენ გაკვეთილზე. მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმებიც, ამიტომაც ბავშვები ადვილად განეწყვნენ ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასასვლელად.

მასწავლებელი შეკითხვების საშუალებით დაეხმარა მოსწავლეებს ტექსტის უკეთ გააზრებაში. შეახსენა მოსწავლეებს, რომ სწავლა მნიშვნელოვანია, რათა დაიმკვიდრონ ადგილი საზოგადოებაში, რომ ცოდნას გამოყენება უნდა. ინგლისური ენის მასწავლებელმა პროექტორის საშუალებით მოსწავლეებს აჩვენა გაკვეთილზე შესასწავლი სიტყვები და მოასმენინა როგორ გამოითქმის თითოეული სიტყვა ინგლისურად. მასწავლებელმა მოსწავლეებს დაურიგა ფერადი ფურცლები, სადაც ეწერა ახალი ლექსიკური მასალა, მუშაობა წარიმართა წყვილებში, ნასწავლი ლექსიკური ერთეულების პრაქტიკულად გამოყენების მიზნით მასწავლებელმა წყვილებს დაურიგა ფურცლები, სადაც მოცემული წინადადებები დაასრულეს შესაბამისი სიტყვებით. საინტერესო იყო აქტივობა სიტყვის კიდობანი. თითო ჯგუფს მაორგანიზებელ სტრუქტურულ ერთეულებზე მუშაობის მიზნით მიეცათ ფორმატი კიდობანის გამოსახულებით და დაევალათ აეწყოთ გამოსახულება თანმიმდევრულად მოცემული სიტყვებით.

წაკითხულ ტექსტებზე გამოხმაურებას და წაკითხულის შეჯამების მიზნით მოსწავლეებს დაურიგდათ ფურცლები, რომელზეც ეწერა დაესრულებინათ ფრაზა: „ამ ზღაპარმა მასწავლა...“ აქ გამოჩნდა, რომ მოსწავლეებმა კარგად გაიგეს და გაიაზრეს ტექსტი, რომ მთავარია მიიღონ ცოდნა და გამოიყენონ ცხოვრებაში. მოსწავლეები გამოკითხეს ცოდნის მიღების გზებსა და წყაროებზე, მათ წიგნი და კომპიუტერი დაასახელეს. ისაუბრეს აგრეთვე ქართველ მეფეებზე, გამოყვეს ყველაზე მწიგნობარი მეფე დავით აღმაშენებელი, მისი ხსენების დღე და ბევრი რამ საქართველოს შესახებ. შემდეგ ჩამოთვალეს განხორციელებული აქტივობები, აღნიშნეს რომელი უფრო მოეწონათ, შეავსეს „თვითშეფასების რუბრიკა“, სადაც აღნიშნეს, როგორ იყვნენ ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში, როგორ პასუხობდნენ დასმულ შეკითხვებს, როგორ გაართვეს თავი დავალებებს.

მოსწავლეებს მიეცათ საშინაო დავალება—დაეწერათ რა იყო მათთვის მნიშვნელოვანი, ან გააგრძელონ ზღაპარი. შესრულებულმა აქტივობებმა აჩვენა, რომ მიზანი მიღწეულ იქნა, გაიგეს და გაიაზრეს ტექსტი, გაიმდიდრეს ლექსიკური მასალა.

თუზის საჯარო სკოლა

პროექტის „ვირჩევთ პროფესიას“ ფარგლებში თუზის საჯარო სკოლაში (დირექტორი ხათუნა გავაშელაშვილი) ღია გაკვეთილი ჩატარდა მე-7 კლასში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (მასწავლებელი ნინო მიხელიძე). გაკვეთილის თემა იყო—არქიტექტურა. მიზანი კი იმის წარმოჩენა, რომ ლიტერატურაც და არქიტექტურაც ხელოსნობიდან ხელოვნებამდე მისასვლელი გზაა. მიზნის მისაღწევად შერჩეულ იქნა ნაწარმოები, რაც ბუნებრივს გახდიდა თემატურ თანხმობას, ამიტომ შეარჩიეს ნაწყვეტი რეზო გაბრიაძის მოთხრობიდან „თეთრი ხიდი“—იმერეთის ნიავი.

მასწავლებელმა გაკვეთილი დაიწყო ტექსტის კომენტირებული კითხვით. წინ იქნა წამოწეული მწერლის დამოკიდებულება ქუთაისისა და ბავშვობისდროინდელი მოგონებების მიმართ. მოიშველიეს ცნობილი პოეტების ლექსები, გაიხსენეს ქუთაისში დაბადებული ცნობილი ადამიანები, ხაზი გაუსვეს იმას, რომ ჩვენი ცხოვრების ტკბილ მოგონებებს ხშირად უსულო საგნები აცოცხლებენ. გაიხსენეს რეზო გაბრიაძის და მისი თანამედროვეების მოგონებები, „შეიხედეს“ სიყვარულის ქალაქში, „საიდანაც ყველაფერი იწყება და აღარ მთავრდება“. ხუთწუთიანმა სიუჟეტმა საინტერესოდ წარმოაჩინა უძველესი ქართული ქალაქის როლი ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური და კულტურული განვთარების საქმეში. შთამბეჭდავი და საინტერესო იყო მოსწავლეების მიერ შექმნილი ბაგრატის ტაძრის, თეთრი ხიდის და კოლხური შადრევნის მაკეტების წარდგენა, თავიანთ პრეზენტაციებში გაგვაცვნეს თითოეული მათგანის შექმნის ისტორია. მათ ისაუბრეს იმაზეც, თუ რა სიძნელეებს წააწყდნენ მუშაობის პროცესში, როგორ მოიძიეს მასალები, ☞4

გაზაფხულის დღესასწაულებს მიეძღვნა

დიდთოვლობის შემდეგ გამოდარებითა და მზიანი დღეებით, თვით ბუნებამაც ლამაზი საჩუქარი გაუკეთა ქალბატონებს, დიდებსა თუ პატარებს. გაზაფხულის სითბომ ირგვლივ სილამაზე და თავისებური სურნელი დაატრიალა. ამის ფონზე მუნიციპალიტეტის ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში და საგანმანათლებლო საჯარო სკოლების სხვადასხვა ჯგუფებში უკვე 4 მარტიდან, როცა სწავლის გაგრძელების საშუალება მიეცათ, პატარები თუ მოზრდილები ჩართულები იყვნენ ღონისძიებებში და თავიანთი შემოქმედებით: ლექსებით, სიმღერებით, ცეკვებით თუ ინსცენირებებით ეფერებოდნენ და ყვავილებთან ერთად სიყვარულს უძღვნიდნენ დედებს, პედაგოგებს, მეგობრებს...

საჩუქრები დედებისათვის და ყველა ქალბატონისათვის

გაზაფხულსა და ქალთა დღეებს მიეძღვნა მოსწავლეთა ახალი ნამუშევრების გამოფენა თერჯოლის საგანმანათლებლო სამხატვრო სკოლაში.

ნორჩი მხატვრების განსაკუთრებული სიყვარულით შექმნილ ნახატებს სილამაზესთან ერთად დამთვალიერებლებთან მოაქვს დიდი სიამოვნება, თითქოს სითბო გეღვრება სულში. მრავალფეროვნებას ჰქმნის ფერწერის, გრაფიკის, გამოყენებითი ხელოვნების, სხვადასხვა ლამაზი აქსესუარების ნიმუშები, სწორედ ქალბატონებისათვის მომზადებული.

გამოფენა ტრადიციულად გახსნა სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **თამარ ღარიბაშვილმა.** მან მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს, მათ მშობლებს, პედაგოგებს, საზოგადოების წარმომადგენლებს, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელებსა და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებს—გაზაფხული, დედისა და ქალთა დღე მიულოცა თითოეულს.

გამოფენა დაათვალიერეს მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი ბარათაშვილმა,** რომლებმაც კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნეს სამხატვრო სკოლის მნიშვნელოვან დანიშნულებასა და როლის თაობაზე თერჯოლელ ახალგაზრდებში არა მხოლოდ ხელოვნების ამ დარგისადმი სიყვარულის გაღვივების, ნიჭის განვითარების, ფუნჯისა თუ ყალმის უკეთ დაუფლების, არამედ საქართველოს ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბების საქმეში.

სკოლის დირექციას, პედაგოგებს, ნორჩ მხატვრებსა და მათ მშობლებს, აგრეთვე შეკრებილ საზოგადოებას მუნიციპალიტეტის პირველმა პირებმა გულითადად მიულოცეს მათი ტრადიციული დღესასწაულები, უსურვეს ჯანმრთელობა, კეთილდღეობა, ოჯახური ბედნიერება და წარმატებული საქმიანობა. ერთობით, სიყვარულით, ურთიერთპატივისცემითა და თანადგომით მრავალი კეთილი საქმის გაკეთებას შევძლებთ, რომელიც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე აისახება, ასეთია მათი სურვილი და განაცხადი...

☞5

ახალი საგანმანათლებლო პროექტი— „ვირჩევთ პროფესიას“

3☞

როგორ ცდილობდნენ ამ ქმნილებების ორიგინალთან მსგავსების მიღწევას. გააკეთეს დასკვნა, რომ არქიტექტურა, ისევე როგორც სხვა პროფესია, ადამიანის სულიერი მოწოდება უნდა იყოს, თავისუფალი სულისა და შემოქმედების უნარის ნაზავი, რომ ყველაფერს ამას, მათ ასაკში ეყრება საფუძველი, მასწავლებელმა მოსწავლეებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ეს გაკვეთილი და კიდევ ბევრი რამ, რაც მათ სულის წვრთნაში დაეხმარებათ, ემსახურება ყველაზე მთავარი „არქიტექტურული ქმნილების“, საქართველოს, მისი თავისუფლების, ტრადიციების, ტერიტორიული მთლიანობისა თუ კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის ზრუნვას.

* * *

გაკვეთილის დამთავრებას სულ რაღაც 1-2 წუთი აკლდა, მასწავლებელმა ნინო მიხელიძემ დასკვნა გააკეთა „ჩვენ ვეცადეთ გვევლო ლიტერატურისა და არქიტექტურის ლაბირინთებში ისე, რომ არ დავკარგულიყავით. რაც შეეხება გაკვეთილის არქიტექტურას—ის ხელოსნობა იყო თუ ხელოვნება, სხვისი შესაფასებელია. მე ცხოვრება მასწავლა ლიტერატურამ, შემაყვარა ადამიანი და მოკვდავთა ენაზე გამააზრებინა უფლის სიტყვა. ბედნიერი ვიქნები თუ ჩემს მოსწავლეებს საკუთარ თავში ადამიანს, უფლის ხატსა და სახეს აღმოვაჩენინებ და მეორე ადამიანისაკენ სიყვარულით გავახედებ.

გაკვეთილებს ესწრებოდნენ: საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე, უფროსი სპეციალისტი მაია რობაქიძე, დარგების მიხედვით შექმნილი კომისიის წევრები, რომლებმაც მაღალ დონეზე შეაფასეს გაკვეთილები, აღნიშნეს, რომ გაკვეთილებმა მიზანს მიაღწია.

ჭოგნარის საჯარო სკოლა

პროექტის „ვირჩევ პროფესიას“ ფარგლებში ჭოგნარის საჯარო სკოლაში (დირექტორი ინგა ხუჯაძე), მე-7 კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში (მასწავლებელი ნინო კვიმსაძე) ჩატარდა ღია გაკვეთილი თემაზე—სამშობლო, მშობლიური სამყარო, ადამიანის დამოკიდებულება სამშობლოსთან. გაკვეთილზე შესწავლილ იქნა ნოდარ დუმბაძის „ჰელადოს“. გამოიკვეთა გაკვეთილის მიზანი—მოსწავლეები აანალიზებენ და აფასებენ მხატვრულ ნაწარმოებებს, ქმნიან წერილობით ტექსტს, ეცნობიან რა შედეგი უნდა იყოს მიღწეული საგნობრივი სტანდარტის მიხედვით—რაც არის: მშობლიურ ქვეყანაზე შექმნილი განსხვავებული ტიპის და უნარის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება, მისი შეფასება და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და გაზიარება.

საორგანიზაციო საკითხების მოგვარების შემდეგ მასწავლებელმა აღწერა აქტივობები, რომელთა შესრულებაც მოსწავლეებს მოუწევდათ გაკვეთილზე, დაურიგა მათ პატარა წებოვანი ფურცლები და მისცა დავალება—ერთი წინადადებით უპასუხონ კითხვას—როდის დავინახეთ განსხვავებული იანგული? რა დამოკიდებულება ჩამოყალიბდა ძველ მეტოქეებს ჯემალისა და იანგულს შორის, რამ განაპირობა ეს დამოკიდებულება, თავდაპირველი კონფლიქტი, როგორ ახსნით მათ საქციელს?

დაისვა კითხვები ტექსტის დეტალებთან დაკავშირებით. ტექსტის ბოლო ეპიზოდთან დაკავშირებით კი მიეცათ დავალება მისწერონ წერილი პერსონაჟს—ჯემალიმ იანგულის, იანგულიმ ჯემალს. მოსწავლეებმა წერილები წარადგინეს კლასის წინაშე, ისაუბრეს რა დეტალები გამოიყენეს წერილის წერისას.

მოხდა გაკვეთილის შეჯამება, გაანალიზდა გაკვეთილის ეტაპები, ისაუბრეს წერილის დეტალებზე, იმ უნარებზე, რომლებიც ჩატარებულ გაკვეთილზე შეიძინეს. მოსწავლეთა შეფასება მოხდა ათქულიანი სისტემით, რვა კრიტერიუმით.

კლასში 15 მოსწავლეა. მათ მაღალი ქულები დაიმსახურეს, რადგან უმეტესობამ სრულად გაიაზრა, შეაფასა და გაანალიზა ტექსტი, მსჯელობდნენ დამოუკიდებლად, სათანადო არგუმენტების მოხმობით და სრულყოფილად გამოჰქონდათ დასკვნა, სრულად ამახვილებდნენ ყურადღებას დეტალებზე, ხსნიდნენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, მეტყველებდნენ და წინადადებებს ლოგიკურად აკავშირებდნენ ერთმანეთთან, მაღალი იყო გაკვეთილზე ჩართულობა, წერითი ნაშრომები კარგად იყო შესრულებული, გამოამჟღავნეს ტექსტში მხატვრული ხერხების მიზნობრიობის ამოცნობის უნარი.

მასწავლებლის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში ჰქონდა ამ კრიტერიუმების მიხედვით საშუალო, საშუალოზე დაბალი, დაბალი შეფასებები, მაგრამ სიტყვები „ნაწილობრივ“, „უჭირს“, „ვერ იაზრებს“, „ვერ მსჯელობს“, „ვერ ამახვილებს“, „ვერ ხსნის“ და ა.შ. აქ არ გამოუყენებია.

მოსწავლეებს დაურიგდათ თვითშეფასების კითხვარი—თუ რა იყო გაკვეთილის მიზანი, სამი მნიშვნელოვანი რამ, რაც ამ გაკვეთილიდან დაამახსოვრდათ და როგორ დაეხმარებათ ამ გაკვეთილზე მიღებული ცოდნა რეალურ ცხოვრებაში.

ამ გაკვეთილებზეც იყო საუბარი რა გზის არჩევა უნდათ, რომ აქედანვე იფიქრონ პროფესიაზე.

გაკვეთილი მაღალ დონეზე შეაფასეს კომისიის წევრებმა.

ჟუჟუნა ცხადაძე

ოქროს მედალი, სტუდენტობა და ასპროცენტიანი გრანტი...

...ყველაფერი ეს ერთდროულად მოხდა. 2013-2014 სასწავლო წლის ბოლო თვეებში. მანამდე კი იყო ჩხარის №1 საჯარო, კერძო სკოლა „მზეკაბანი“-მოსწავლეობის უბედნიერესი ხანა. „ყველა პედაგოგი რომ ინატრებს, ისეთი მოსწავლე იყო არჩილ სიმონგულაშვილი, მასთან მუშაობა ნამდვილი ბედნიერება იყო, სასიამოვნო და საინტერესო“—ამბობს კერძო სკოლა „მზეკაბანის“ ხარისხის მართვის მენეჯერი აზა მემანიშვილი და ამ წინადადებით სკოლის მთელი პედაგოგიური კოლექტივის აზრს გამოხატავს. საფუძველი არჩილის პირველდაწყებით განათლებას და აღზრდის პირველ ელემენტებს მშობლიური ჩხარის №1 საჯარო სკოლაში ჩაეყარა და წარმატებით გაგრძელდა „მზეკაბანში“.

2014 წელს არჩილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ასპროცენტიანი გრანტით ჩაირიცხა სამედიცინო ფაკულტეტზე და ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი იყო. 2021 წელი არანაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ჩაირიცხა უნივერსიტეტის რეზიდენტურაში კარდიოლოგიის განხრით.

ოჯახის გავლენა

არჩილის მამა ბატონი გია სიმონგულაშვილი ცნობილი ექიმია. ჩხარის ამბულატორიის ოჯახის ექიმად მუშაობს და ათეული წლებია ერთგული და შემსრულებელია ჰიპოკრატეს ექიმის ფიცის. გია არის ექიმი, რომელსაც მთელი თერჯოლა სახელით იცნობს. იტყვი-

ან „გია ექიმი“ და ვიცით, სიმონგულაშვილზეა ლაპარაკი. მოახდინა თუ არა მამამ გავლენა არჩილზე, არ მიკითხავს. ცხადია მოახდენდა, ვინ არ იამაყებდა გიას მამობით, უკეთესს ვის მიბაძავდა. დიდია დედის—გერმანული ენის პედაგოგის, ამჟამად ჩხარის №1 საჯარო სკოლის სპეციალური პედაგოგის ლალი კაპანაძის როლი შვილების არჩილის და ანას აღზრდაში, მართალია მისი პროფესია არც ანას აურჩევია—იგი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, ფინანსისტ-ანალიტიკოსია, მაგრამ სწავლაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ის აღმზრდელობითი როლი, რომელიც ბავშვებს დაბადებიდან სჭირდება და სწორედ ქალბატონი ლალი იყო ამ „სამსახურში“.

სახლში კი თავმოყრილია არჩილის „ურიცხვი“ სიგელი, სერთიფიკატი, სამადლობელი ბარათები, ოლიმპიადებში, კონფერენციებში, ინტელექტუალურ თამაშებში მონაწილეობის და გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტები.

მცირე დროის მიღწევები

„კოვიდ-19“-ის პანდემიასთან ბრძოლის და დაავადების მართვასთან დაკავშირებულ სამედიცინო, საორგანიზაციო და სოციალურ აქტივობებში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების, სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მიერ დაჯილდოებულია სამადლობელი სიგელით. 2021 წლიდან მუშაობს თბილისის გულის ცენტრში ექიმად. არჩილი არ არის მარტო კარგი ექიმი, გამოირჩევა პაციენტთა მიმართ გულისხმიერი და მზრუნველი დამოკიდებულებით, თავს ევლება და თვალყურს ადევნებს მათ სრულად გამოჯანმრთელების პროცესს, ამის შემდეგ არის მშვიდად და ბედნიერად გრძნობს თავს, არის უანგარო და მადლობაა მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო.

არჩილის მშობლებს ბევრი არაფერი უთქვამთ შვილის მიღწევებზე, მისი ცოდნის, კვალიფიკაციის, ავტორიტეტისა და იმ სიყვარულის შესახებ, რომელიც პროფესიის მიმართ აქვს, მაგრამ არსებობს სხვა წყაროებიც. თბილისის გულის ცენტრის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, თერჯოლის მკვიდრმა, ალისუბანში მცხოვრებმა მინდია ბუცხრიკიძემ არ დაიშურა მასზე საქებარი სიტყვები—„არჩილს დიდი მომავალი ელოდება, ჩემი მარჯვენა ხელიაო“—უთქვამს. აზა მემანიშვილი იხსენებს: „ამ რამდენიმე ხნის წინ დედაჩემი სასწრაფო დახმარების მანქანით თბილისის გულის ცენტრში მივიყვანე, მაშინ არ ვიცოდი, რომ იმ კლინიკაში ორი თერჯოლელი ექიმი მუშაობდა. მინდიას ტელეფონით ვესაუბრე, თან „წავიტრაბახე“, მეც მყავს ერთი ყოფილი მოსწავლე, ექიმი, კარდიოლოგი, მაგრამ არ ვიცი, რომელ კლინიკაში მუშაობს. სახელი და გვარი მკითხა და როცა არჩილი ვუხსენე, მითხრა—ჩემი მარჯვენა ხელია, ახლახან გამოვედით ოპერაციიდანო, ისეთი დახასიათება მოაყოლა, ერთი-ორად გავიზარდე, შემდეგ მადლობა გადამიხადა, ასეთი მოსწავლე გაგიზრდიათო. ჩემი მხრიდან ვიტყვი—მადლობა არჩილის არაჩვეულებრივ ოჯახს, ბატონ გიას და ქალბატონ ლალის. ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ მათ ყველა ღირსებით შემკული, არაჩვეულებრივი შვილი (უფრო სწორად შვილები) ჰყავთ, პირველ რიგში საუკეთესო ადამიანი და მერე კარგი ექიმი, თან სულ რაღაც 27 წლის. არჩილს კი ვეტყვი, რომ მიყვარს, მეიმედება, მეამაყება, ველოდი, რომ იგი ყველგან იტყოდა თავის სიტყვას“.



თქვა კიდეც, მაგრამ არა ყველაფერი, არჩილს დიდი გზა აქვს გასავლელი, ეს გზა უფრო წარმატებული, ნაყოფიერი და ღირსეული იქნება, დაუგროვდება გამოცდილება და დიდხანს, ძალიან დიდხანს იქნება ადამიანთა ჯანმრთელობის სამსახურში.

ჟუჟუნა ცხადაძე

გაზაფხულის დღესასწაულებს მიეძღვნა

4 ☞

სიყვარულისა და პოეზიის საღამო ქალბატონებისათვის

უამრავი ლამაზი ღონისძიება გამართულა თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში. ასე იყო საგაზაფხულოდაც... 7 მარტს აქ შეიკრიბნენ ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები, საზოგადოების წარმომადგენლები, ბიბლიოთეკის მუშაკები, მოსწავლეები, მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის ცენტრის თანამშრომლები...

შეკრებილ ქალბატონებს დედის დღე და 8 მარტი მიულოცეს საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა, ქალბატონმა ლალი ცქიფურიშვილმა, სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის ცენტრის დირექტორის მოადგილემ ქალბატონმა შორენა ბო-

ჭორიშვილმა და მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა მაკა ასათიანმა.

ქალბატონებისათვის მომზადებულ ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციაში მონაწილეობდნენ თერჯოლის №1 და №2 საჯარო სკოლების და „მზეკაბანი-2007“ მოსწავლეები: ლიზი გამეზარდაშვილი, ოთო გეწაძე, მარი ჩქიმიკოჩა, ლიკა გამეზარდაშვილი, ელენე ზარნაძე, ნინი ჯანელიძე, ტასო მორალიშვილი, ლიზი ჯანელიძე, ბარბარე მაკარიძე და ნია გიგაშვილი. ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციას აფორმებდნენ თერჯოლის საგანმანათლებლო სამუსიკო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგი მერი ჯიშკარიანი.

ღონისძიებას ქალებისადმი მიძღვნილი ლამაზი ლექსებით შეუერთდნენ დარეჯან კვატაია, შორენა ბოჭორიშვილი, მაკა ასათიანი და კიდევ ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი ზვიად მექვაბიძე, რომელმაც დღესასწაული საკუთარი ლექსით მიულოცა ქალბატონებს...

ლამაზი და დასამახსოვრებელი დღე გამოვიდა, დასასრულს ბიბლიოთეკის დირექტორმა მადლობა გადაუხადა სტუმრებსა და ღონისძიების მონაწილეებს, მადლობა გადაუხადა მერიას ქალბატონებისადმი გამოჩენილი ყურადღებისათვის. ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეებს კი ბიბლიოთეკიდან სამახსოვროდ ქართველ მწერალთა ახალი წიგნები გადასცეს.

მზია ცქიფურიშვილი

გოგი გეგეჭკორი, არტისტი, რომელიც ამაყობდა თერჯოლის საპატიო მოქალაქეობით

„თხემით ტერფამდე არტისტი“, „ქართული თეატრის ჯენტლმენი“, „ქართული თეატრის პატრიარქი“—ასე იხსენიებდნენ ჯერ კიდევ მისი თანამედროვე თეატრისა თუ კინოსმცოდნენი, ამ სფეროში მოღვაწე გამოჩენილი ადამიანები გიორგი (გოგი) გეგეჭკორს, რომელმაც უამრავი დაუვიწყარი სცენური თუ ეკრანული სახე შექმნა და ქართული კულტურის უკვდავ საგანძურში ღირსეული სახელი დაიმკვიდრა.

დაიბადა 1923 წლის 23 თებერვალს თბილისში. დედა თამარ გელოვანი პედაგოგი, მამა, ვლადიმერ გეგეჭკორი კი პოეტი ყოფილა. როგორც თვითონ იგონებს მათ სახლში ხშირად იკრიბებოდნენ სხვადასხვა დარგის მოღვაწეები, რომელთა საუბრები უმეტესად ხელოვნების სფეროს შეეხებოდა. გოგი ყოველთვის გატაცებით უსმენდა მათ, ფიქრობდა, კითხულობდა თეატრის შესახებ ყველაფერს.

სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში გააგრძელა სამსახიობო ფაკულტეტზე. 1944 წლიდან კი უკვე ამ თეატრის მსახიობია.

რადიოში სტუდენტობიდანვე კითხულობდა ლექსებს, მოთხრობებს, ზღაპრებს, იგავ-არაკებს, ჰქმნიდა საინტერესო და მიმზიდველ სახეებს რადიოდადგმებში. მოგვიანებით კი, როცა ის პოპულარული მსახიობი გახდა მის ცხოვრებაში შემოვიდა კიდევ ერთი დარგი, ტელევიზია. გასაკვირიც არ იყო, რომ ტელევიზიაში თავისი საქმის ოსტატი, პირველი ნაბიჯებიდანვე ქართული ტელევიზიის მუდმივი თანამგზავრი გახდა.

გოგი გეგეჭკორმა ეკრანზე ორმოცამდე დიდი და მცირე როლი განასახიერა, ხოლო შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში 120-ზე მეტი როლი შეასრულა. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

მეოცე საუკუნის 40-იანი წლებიდან საუკუნის ბოლომდე გადაღებული ფილმები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, გოგი გეგეჭკორის მიერ განსახიერებული როლის გარეშე თითქმის არ არსებობს.

1951 წელს მსახიობი პირველად სიკო დოლიძემ მიიწვია ფილმში „ჭრიჭინა“ ლევანის როლზე. ეს იყო მისი პირველი ეკრანული სახე, რამაც პოპულარულობა მოუტანა მას. შემდეგ იყო ვახტანგი „აბეზარა“, ნიკო „ქალის ტვირთი“, ბესარიონი „წარსული ზაფხული“, მამა „არდადეგები“, სამხედროს მასწავლებელი „მე ვხედავ მზეს“ და სხვა უამრავი. მის მიერ შესრულებული სანდროს როლი ფილმ „დათა თუთაშხიაში“ საოცარი სამსახიობო ნიჭითაა განსახიერებული.

ბატონ გოგის დახვეწილი მანერა, სამსახიობო ოსტატობა, მისი გენია გულგრილს არავის ტოვებდა.

თეატრში კი მისი დებიუტი მიხეილ მრევლიშვილის პიესაში „ბედი მგოსნისა“ შედგა, სადაც გოგი გეგეჭკორმა ნიკოლოზ ბარათაშვილის როლი განასახიერა. ეს როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მსახიობისათვის, რომელმაც სათავე დაუდო მის შემდგომ წარმატებულ და პოპულარულ როლებს. ამ სპექტაკლმა დიდი პოპულარობა მოუტანა მიუხედავად იმისა, პრემიერას გარკვეული კურიოზის გარეშე არ ჩაუვლია, როგორც თავად მსახიობი იხსენებს, მასზე გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში „ხელოვნების ქურუმი—გოგი გეგეჭკორი“. შემდეგ კი მალევე იყო ისეთი დაუვიწყარი როლები რუსთაველის თეატრის სცენაზე როგორიც იყო მგელი „ჭინჭრაქაში“, ჰამლეტი „ჰამლეტში“, ტიგრან გულოიანი ნ. დუმბაძის „თეთრ ბაირაღებში“ და სხვა უამრავი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი, სადაც გიორგი გეგეჭკორი პლატონ სამანიშვილის როლს ასრულებდა. ეს სპექტაკლი 500-ჯერ დაიდგა რუსთაველის თეატრის სცენაზე და ამდენივეჯერ გოგი გეგეჭკორი მონაწილეობდა...

„სამანიშვილის დედინაცვალს“, როგორც ხელოვნებათმცოდნენი აღნიშნავენ საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა რუსთაველის თეატრისათვის. ამ როლმა და დავით კლდიაშვილის 120 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო მასშტაბურ ღონისძიებაში, სიმონეთში, მწერლის სახლ-მუზეუმში გამართულ სპექტაკლში მონაწილეობამ განსაზღვრა გიორგი გეგეჭკორს რაიონის იმდროინდელი ხელისუფლებისა და საიუბილეო კომისიის გადაწყვეტილებით მინიჭებოდა თერჯოლის საპატიო მოქალაქის წოდება. მასვე სახლ-მუზეუმის დირექციამ დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისათვის გადასცა საპატიო სამკერდე ნიშანი ე.წ. ვერცხლის „ძელქვის რტო“.

გოგი გეგეჭკორი, რომელიც მრავალი სხვა ისეთი ჯილდოებისა და წოდებების მფლობელი იყო, როგორიცაა: საქართველოს დამსახურებული არტისტი, საპატიო ნიშნის ორდენი, საქართველოს სახალხო არტისტი, ლენინის ორდენი, საქართველოს სახელმწიფო პრემია, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია, ღირსების ორდენი, იყალთოს აკადემიის წევრი, თერჯოლისა და ხობის საპატიო მოქალაქე, დავით კლდიაშვილის მუზეუმისაგან ვერცხლის სამკერდე ნიშანი „ძელქვის რტო“. ზემოთაღნიშნულ დოკუმენტურ ფილმში ბატონი გოგი განსაკუთრებული სიყვარულით სწორედ თერჯოლის და ხონის საპატიო მოქლაქეობასა და სამკერდე ნიშანზე ხაზგასმით საუბრობს. ყველა დაინტერესებულ პირს, ამ ფილმის მოძიება და ნახვა შეუძლია, სადაც გაცილებით მეტს შეიტყობთ, არტისტზე, ვიდრე ამ სტატიაში ამოიკითხავთ.

მიხეილ თუმანიშვილი: „თუ გიყვართ თქვენ სიცილი, გინდათ გულიანად იცინოთ, თუ გსურთ დატკბეთ კომედიის მსახიობის ბრწყინვალე ოსტატობით, მაშინ დაუყოვნებლივ შეეცადეთ იშოვოთ ბილეთი რუსთაველის თეატრის სპექტაკლზე: ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა“ და ნახეთ გიორგი გეგეჭკორი, რომელიც ამ სპექტაკლში ასრულებს „ექვთიმე ქათამაძის როლს“, წერდა იგი თეატრალურ მოამბეში.

ვასილ კიკნაძე: ქართული თეატრის ჯენტლმენი, —ხშირად ვიმეორებ ამ სიტყვებს გოგის მისამართით. ზოგჯერ მეჩვენება, რომ მთელი საქართველო არტისტობს, საერთოდ ქართველი მუდამ არტისტობს. ჩემზე ადრე ეს ახმეტელმა თქვა, მასზე საუკუნეებით ადრე კი უცხოელებმა—ქართველები მუდამ სხვის საჩვენებლად თამაშობენო. ჯენტლმენობა კი სულ სხვაა, ბუნებამ უნდა მოგცეს იგი“.

დიახ, გოგი გეგეჭკორი მართლაც იყო სხვა ხიბლის, შემართების პროფესიული კულტურის მქონე მსახიობი. განუმეორებელი, ჩინებული მეტყველება, მკაფიო ინდივიდუალობა, სცენური სიმართლე, დახვეწილი იუმორი ეს და სხვა თვისებები გამოარჩევდა მას და საყვარელ მსახიობთა ნუსხაშიც აუცილებლად მოიაზრებოდა მაყურებელთა მიერ.

1953 წელს დაქორწინებულა ნათელა ურუშაძეზე, მხოლოდ „ხელისმოწერის“ ცერემონიალი გამართულა. ქორწილი ვერ გადაიხადეს, რადგან „ხალხის ბელადი“ ი.ბ. სტალინი მხოლოდ ხუთი დღის დასაფლავებული ყოფილა. მიუხედავად ამისა სტუდენტი ნათელა ურუშაძე (შემდეგში ცნობილი თეატრმცოდნე) დეკანატში დაუბარებიათ და საყვედურიც გამოუცხადებიათ ამ „არადროული“ ქორწინების გამო.

შესანიშნავ წყვილს ქალვაჟი შეეძინათ, მანანა და გიორგი. მშობლების გზა არც ერთს არ აურჩევია, მანანა ფსიქოლოგია, გიორგი კი—ფერმწერი.

ნათელა ურუშაძე: „გიორგი რბილი ხასიათის, ბუზღუნა, მაგრამ უხმაურო ადამიანი იყო. ჰქონდა კარგი იუმორი, რომელსაც უფრო ხშირად თავდაცვის მიზნით იშველიებდა. საოცრად ყურადღებიანი მეუღლე და მამა იყო. არ მახსოვს უცხოეთში წასულს ჩვენთვის საჩუქრები არ ჩამოეტანოს...“

გოგი გეგეჭკორის უკანასკნელი როლი 2003 წელს შედგა ფილმში „ექვსი და შვიდი“. იმავე წლის 11 მარტს კი 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

გოგი გეგეჭკორის მოგონებიდან (2000 წელი):

„წიგნი ფიცისას“ ვიღებდით, მე ანტონ კათალიკოსის როლს ვთამაშობდი. გადაცემები პეტერბურგში, ნევის სანაპიროზე მიმდინარეობდა, „მოტორ“,—დაიძახეს და გადაღებაც დაიწყო, ამ დროს გაჩერდა მანქანა და იქედან გადმოვიდა ორი ახალდაქორწინებული წყვილი „დაგვლოცე მამაო“, მითხრეს. მე გიგა ლორთქიფანიძეს გადავხედე, მან თავი დამიქნია, „ღმერთმა დაგლოცოთ შვილებო“,—ისინი ხელზე მეამბორენ, ჩასხდნენ მანქანაში და წავიდნენ.

ახლა ვფიქრობ და ჩემს თავს ვეკითხები: როგორ გაიარე ცხოვრება, რა დატოვე და რით მიდიხარ იქ, იმ ქვეყნად? ჩემს თავს რომ ვუსაყვედურო, მართალი არ ვიქნები!

რუსთაველის თეატრში და არც სხვაგან, მე არ დამიზოგავს არც დრო და არც თავი, მე არც შეურაცხყოფა მიმიყენებია ადამიანისათვის, არც მიჩხუბია არასოდეს!

ადამიანის გადარწმუნება კი მიყვარს, მაგრამ კონფლიქტის გარეშე ვიცხოვრე და ჩემს პროფესიაში ეს იშვიათი შემთხვევაა—ამ მხრივ ბედნიერი კაცი ვარ.

(გოგი გეგეჭკორის 2000 წლის ინტერვიუდან)

მზია ცქიფურიშვილი

პილიგრიმი—წმინდა ადგილებში სალოცავად მიმავალი...

თებერვალში, დიდმარხვის წინა დღეებში, ოქროს ჯვრის ტარების უფლების მქონე დეკანოზი დავითი (ჭანტურიძე), როგორც პილიგრიმი ათონის მთაზე იმყოფებოდა. ჩვენ ვთხოვეთ მას მოეთხრო ამ წმინდა ადგილზე მოგზაურობის შესახებ.

პატარა ცნობარი „აიონ ოროსზე“ (წმინდა მთა) და ათონის ივერთა მონასტერზე.

ათონი—ნახევარკუნძული აღ. საბერძნეთში. ქალკედონის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ შვერილი, შეჭრილია ეგეოსის ზღვაში. სიგრძე 50 კმ. სიგანე 10 კმ. მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმართულია მთა ათონი (2033მ). VII-VIII სს-ში აქ იწყება განდეგილების, შემდეგ მონაზონთა დამკვიდრება და სამონასტრო მშენებლობა. VIII ს. ბოლოს აქ ქართველ მონაზვნებს მცირე სავანე „ათო“ დაუფუძნებიათ. პირველი დიდი მონასტერი „დიდი ლავრა“ 963 წელს ააგო ათანასე ათონელმა, მისი წინამძღვრობის დროსვე დაარსდა მონასტერი ვატოპედი და ათონის ივერთა მონასტერი. ბერძნებსა და ქართველებს გარდა აქ მონასტრები ააშენეს სერბებმა, ბულგარელებმა, რუსებმა და სხვებმა. XV ს-ში ათონზე 30 მონასტერი და 30 ათასამდე მონაზონი იყო. 1961 წელს კი 20 მონასტერი და 12 სოფელი (2687 მცხოვრები). ათონის საკულტო არქიტექტურისათვის დამახასიათებელია გუმბათიანი ტაძრები, ორმაგი კარიბჭით. მონასტრებთან არის სატრაპეზოები, საცხოვრებლები, სენაკები, ბიბლიოთეკები, სამეურნეო ნაგებობები, ზოგიერთ მონასტერში კი შესანიშნავი ფრესკები, მოზაიკა, ხატები, ოქრომჭედლობის და მინანქრის საუკეთესო ნიმუშები. მონასტრების საგანძურია 11 ათასამდე ხელნაწერი, სიგელ-გუჯრები და სხვა დოკუმენტები (ქართული ენციკლოპედია. გვ 234).

ათონის ივერთა მონასტერი ქართული მწერლობის და კულტურის უმნიშვნელოვანესი კერა ათონის მთაზე. დაარსდა 980-983 წელს. მისი შექმნა დაკავშირებულია იოანე მთაწმინდელის და თორნიკე ერისთავის მოღვაწეობასთან. მონასტერი არა მარტო ბიზანტიაში მყოფ ქართველთა მთავარი საეკლესიო სამონასტრო ცენტრი, არამედ ქართველთა სულიერი კულტურის მძლავრი კერა გახდა. აქ აღმოცენდა და ჩამოყალიბდა ლიტერატურული სკოლა, რომელსაც სათავეში ედგნენ ექვიმე მთაწმინდელი და მისი ტრადიციების გამაღრმავებელი გიორგი მთაწმინდელი. მათი ხელმძღვანელობით ათონზე გაჩაღდა კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა. დაიწერა ორიგინალური თხზულებები, ქართულად ითარგმნა მნიშვნელოვანი ძეგლები, გამრავლდა ხელნაწერები. მომდევნო საუკუნეებში მონასტერში მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობა შეწყდა, რადგან იქ მოღვაწე ქართველები შევიწროებას და დევნას განიცდიდნენ, ბერძნები XIX ს. მთლიანად დაეპატრონენ სავანეს, თუმცა ქართველი ბერები იქ შემდეგაც აგრძელებდნენ მოღვაწეობას. 1900 წელს მონასტერში 51 ქართველი იყო (ქართული ენციკლობედია გვ. 229).

დეკანოზი დავითი (ჭანტურიძე) გვიამბობს

ათონის წმინდა მთაზე ჩვენ გამგზავრებას უფლის დიდ წყალობად და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიერ ჩვენზე ზრუნვის გამოხატულებად აღვიქვამთ. 6 კაციან ჯგუფში კიდევ ერთი სასულიერო პირი—ქუთაის-გაენათის ეპარქიის მღვდელმსახური, დეკანოზი დავითი (დოლაბერიძე) იმყოფებოდა.

ათონის მთის წმინდა მთად გადაქცევა, მკვდრეთით აღმდგარი ლაზარეს მოსანახულებლად მიმავალი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის გემის, ამ მთის ნაპირთან, უფლის განგებულებით, გაჩერებას უკავშირდება. გარდამოცემით, როცა ყოვლადწმინდა დედა გემიდან ნაპირზე გადასულა, იმდენად მოწონებია შუა ზღვაში აზიდული, ლამაზი ბუნებით შემკული, მთა-გორიანი კუნძული, თავისი ძისთვის, პირადად მისი მფარველობის ქვეშ შემოსაყვანად, კურთხევა უთხოვია.

მართლაც, თვალშისაცემია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიერ, ათონის მთაზე საუკუნეების მანძილზე, მოღვაწე ბერ-მონაზონთა მიმართ, მფარველობის კვალი. ამ სულიერი კავშირის გავლენით, ამ წმინდა სავანეში მისული თითოეული მომლოცველი მადლისმიერ გარემოში ექცევა და სულიერი სიხარულით ივსება მისი გული.

ვფიქრობ, საინტერესო იქნება იმ მარშრუტის აღწერა, თუ რა გზა გავიარეთ საბერძნეთის ქალაქ თესალონიკიდან, საიდანაც გავემგზავრეთ პატარა ზღვისპირა ქალაქ ურანოპოლისში, სადაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა წმინდა მთის სიახლოვე, პორტის ახლოს, ავიღეთ ათონზე შესასვლელი ვიზა, რაც გამოითქმება „დიამონიტირიოდ“.

სასულიერო პირთა და ერისკაცებისგან გადავსებულმა გემმა, გეზი ათონის მთაზე არსებული პორტებისაკენ აიღო. ზამთრისთვის უჩვეულოდ მოწმენდილი ცა და თბილი ამინდი ხელს გვიწყობდა შეგვეგრძნო ამ წმინდა მთის სიდიადე და ნაპირთან არსებული მონასტრებთან ჩავლისას, დროში გვემოგზაურა.

ჩვენი ჯგუფი, წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალის სამონასტრო კომპლექსის წინ მდებარე პორტში გადავედით და ამ რუსული მონასტრიდან, 13 თებერვალს დაიწყო ჩვენი პილიგრიმობა ათონის მთაზე.

თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ უკლებლივ ყველა მონასტერი გამოირჩევა ხაზგასმული სტუმართმოყვარეობითა და მომლოცველთა მიმართ კეთილგანწყობით. მონასტრის გარემოსთან შეხება ყველა მონასტერში, არქონდარიკიდან, ანუ სტუმართა მისაღები და გამანაწილებელი სივრციდან იწყება. ამ სივრცეში მოღვაწე ბერ-მონაზვნების მორჩილების საგანს შეადგენს მომლოცველთა დახვედრა და მათთვის ცხელი ჩაის ან ყავის, და სეზონის მიხედვით გამაგრილებელი სასმელის შეთავაზება, საიდანაც ხდება სტუმრების გადაყვანა მოსასვენებლად კეთილმოწყობილ კელიებში.

ასევე ხაზგასასმელია, რომ ყველა სავანეში შექმნილია პირადი ლოცვისთვის იდეალური გარემო, ჩვენ კი დროის სიმცირის გამო, მხოლოდ მონასტრებში საერთო მსახურებაზე დასწრებას ვახერხებდით.

ყოველ ღამით, მსახურებაზე, ცისკრის ლოცვაზე გამოაბრძანებენ იმ მოცემული სავანის სიწმინდეებს. წირვის შემდეგ, უმთავრესად დილით, 8 საათზე იმართება ტრაპეზი, რომელიც იკურთხება იღუმენისგან, მონასტრის წინამძღვრისგან და მონასტრის საძმოსთან და სტუმრებთან ერთად იხმევს ტრაპეზს, რომელიც სხვადასხვა მონასტერში 15 წთ-დან 30 წუთამდე გრძელდება, ტრაპეზის მიმდინარეობისას წინამძღვრის კურთხევით მონასტრის ერთი ძმათაგანი კითხულობს დღის სვინაქსარს ან საკითხავს წმინდა მამათა სწავლებიდან.

ტრაპეზის შემდეგ მომლოცველები ბერ-მონაზვნების თანხლებით, ისევ ტაძარში ინაცვლებენ სხვა სიწმინდეებთან მისაახლებლად, რომლებიც მანამდე არ მოულოცავთ.

წმ. პანტელეიმონის მონასტერში ლოცვა ძველი სლავურად აღესრულება, ხოლო დანარჩენში ბერძნულ ენაზე. მომლოცველთა უმრავლესობის მსგავსად, ბერძნული ენა ჩემთვისაც უცხო იყო, მაგრამ ჩვენ ყველას—იქ მოღვაწე მამებს და ყველა სტუმრად მისულ მომლოცველს, რაც გვაერთიანებდა, ეს იყო ლოცვის ენა.

გამორჩეულია ათონური გალობის სტილი, ყველა მსახურება მიმდინარეობს მგალობელთა ორი გუნდის—მარცხენა და მარჯვენა კლიროსზე—თანხლებით. გალობის დახმარებით დაუფლებული ამაღლებული სულიერი განწყობა, ცისკრის ლოცვის ხანგრძლივობის მიუხედავად, დროის გაჩერების განცდას ქმნის.

მირქმის სადღესასწაულო ლოცვას და წირვას დიონისიოს მონასტერში დავესწარით.

განსაკუთრებით ამაღლებული იყო ქართველებისათვის სათაყვანებელ ივერონის მონასტრის სიწმინდეების ხილვა, რომელთა შორის უპირველესია ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ქალაქ ნიკეასთან მცხოვრებმა კეთილმსახურმა ქვრივმა, ხატმებრძოლი იმპერატორი თეოფილეს მიერ წამოწყებული დევნის გასარიდებლად ზღვაში ჩაუშვა და მაშინვე იხილა თავისი ლოცვის შედეგი—ხატი ზეაღიმართა და ტალღებთან ერთად დასავლეთისკენ გაცურა.

როგორც ცნობილია, გარკვეული დროის შემდეგ მხოლოდ გაბრიელ ქართველი ბერის ხელით ინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა, მისი საკვირველმოქმედი ხატის ნაპირზე გამობრძანება, ხოლო იმ ადგილას, სადაც წმინდა ხატი დაასვენა მკურნებელმა წყარომ ამოხეთქა, რომელიც დღემდე მოედინება და ყოველგვარ ხორციელ და სულიერ სნეულებათა მკურნალია, ბედნიერი ვარ, რომ სასოებით მივეახლე ამ წყაროს და მრევლის წევრებისთვის ეს წყალი წამოვაბრძანე.

რადგან ყოვლადწმინდა დედამ ინება მისი ხატის მონასტრის კარიბჭის კედელზე დაბრძანება, ამიტომ იწოდება „პორტაიტისად“, ანუ „კარიბჭისად“, ის რომ დედაღვთისას განზრახული ჰქონდა მონასტრისა და მისი საძმოს მფარველობა, შემდეგი სიტყვებით დაამოწმა „ვიდრე ამ სავანეში იხილვება ჩემი ხატი, არ მოგაკლდებათ თქვენ ჩემი ძის მადლი და წყალობა“. მონასტრის ძმებმა ყოვლადწმინდა ქალწულის სადიდებლად სავანის კარიბჭესთან მცირე ტაძარი ააგეს და მისი საკვირველმოქმედი ხატიც შიგ დაასვენეს, სადაც ჩვენც მოგვეცა შესაძლებლობა, რომ ვხლებოდით და მოგველოცა.

ივერონში ჩვენ კვირის, ანუ საღამოს მსახურებას დავესწარით.

ბოლოს, სადაც ჩვენ გავჩერდით, გავლენით, სულიერი და მატერიალური ფასეულობებით მდიდარი ვატოპედის მონასტერი იყო. სასიხარულოა, რომ ვატოპედის მონასტრის საძმოში ირიცხებიან ქართველი ბერები, რომელთაგან ერთ-ერთმა მეგზურობა გაგვიწია სავანის ერთ-ერთი სიწმინდის ღვთისმშობლის ხატის ყრმითურთ მოსალოცად, ხატის წარმომავლობა დაკავშირებულია დედაღვთისას მიერ წარმოთქმულ გაფრთხილებასთან, მონასტრის იმდროინდელი ბერების მიმართ, რომ მოცემულ ღამეს მონასტრის ჭიშკარი დაეკეტათ, მონასტერზე ბარბაროსების მოსალოდნელი თავდასხმის გამო. მონასტრის საძმოსთვის წარმოთქმული ამ გაფრთხილებით მოხდა მოსალოდნელი საფრთხის არიდება. ამ შემთხვევამ ხატის სახე მიიღო, ხოლო ზრუნვის შედეგად მონასტრის ბერებმა, რომლებიც ცოდვებში იყვნენ შეინანიეს და გამოსწორდნენ.

ახლახან 8 წელი გავიდა ჩემი სასულიერო პირად კურთხევიდან და ან ხნის მანძილზე სიწმინდის—ქრისტეს ყოვლადწმინდა ხორცთან და სისხლთან ზიარება ჩემგან, საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზის წინ ხდებოდა, ათონის მთაზე კი, სტუმრად მისული ყველა სასულიერო პირი, როგორც ერისკაცი, გარეთ, ამბიონის წინ ეზიარება. ამან საშუალება მომცა, საკუთარი თავისთვის სხვა კუთხიდან შემეხედა.

ის, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მარიამი დღესაც არამარტო მფარველობს, არამედ „მსახურებს“ კიდეც ათონის მთის სავანეებში, ამის ხილულ ნიშნად, წმინდა მთის ტაძრების აღსავლის კარებებზე დაბრძანებული სამღვდელო ოლარი მოიაზრება, როგორც მღვდელმსახურების აუცილებელი ნიშანი.

მნიშვნელოვანია, რომ ათონის წმინდა მთაზე მოგზაურობა, დიდი მარხვის დაწყების წინ მოხერხდა, სადაც თვალნათლივ დავრწმუნდით ამ წმინდა სავანეებში მოღვაწე ბერ-მონაზვნების მაგალითზე, ღმერთზე მინდობით როგორ შეიძლება მარადიული და უკვდავი, ამაოებაზე, წარმავალზე და ხრწნადზე წინ დააყენო.

უფალმა, ყოვლადწმინდა სამებამ, მისი წმინდა ნებით და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შეწევნით, ინებოს ეს დაუვიწყარი მოლოცვა-მოგზაურობა, მორწმუნე მრევლის სულიერ გაძლიერებას და აღმშენებლობას წარდგომოდეს, ამინ!

ესაუბრა ჟუჟუნა ცხადაძე

შალვა (შაკო) მეფარიძე

სიყვარულით მიიღო ძევრულჰესის შრომისმოყვარე კოლექტივმა ახალი თანამშრომელი სპეციალური ტექნიკური განათლების მქონე შალვა (შაკო) მეფარიძე ჯერ ელმონტიორად, ძალიან მალე მართვის ფარის ოპერატორად. სულ რაღაც ხუთი წელი იმუშავა ამ კოლექტივში, მაგრამ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი, მოიპოვა სიყვარული და ავტორიტეტი, აიმაღლა კვალიფიკაცია და კვლავ დადგა დღის წესრიგში მისი დაწინაურების საკითხი, მაგრამ არ დასცალდა, 2023 წელს ტრაგიკულად დაიღუპა და დატოვა ტკივილი არა მარტო ძევრულჰესის თანამშრომელთა გულში, არამედ მთლიანად ძევრის მოსახლეობაში, რადგან შაკო საუკეთესო პიროვნება იყო, უყვარდა ყველა და ყველაფერი, უყვარდა სამუშაო, ოჯახი, მეგობრები, ყველა, ვისაც იცნობდა, იყო კარგი შვილი, ძმა, მეგობარი, სოფელზე შეყვარებული კაცი.

ადრე წავიდა. 2025 წლის 27 მარტს 36 წელი შეუსრულდებოდა. წავიდა და დატოვა დიდო ტკივილი, კვლავაც ჯავრიანი და გაუხარებლად არიან მშობლები, ძმა, ნათესავები და მეგობრები. ჩვენ ხშირად მივალთ შაკოს საფლავთან, ყოველ დაბადების და გარდაცვალების დღეს ყვავილებით დავფარავთ მის სამუდამო განსასვენებელს და ჭიქა ღვინოს გულზე დავაქცევთ. ვიტყვით, რომ ძალიან გვიყვარდა და გვეამაყებოდა.

ნათელი და სანთელი შაკო! გემსუბუქოს მშობლიური მიწა.

ძევრულჰესელები

გაზეთ „თერჯოლის“ თანამშრომლები მწუხარებაში თანაუგრძნობენ სოსო, ვასო და დავით გაბრიჭიძეებს დედის

მზია სვანიძე-გაბრიჭიძის

გარდაცვალების გამო.

„თქვენ აუცილებლად შეცვლით სამყაროს უკეთესობისაკენ“

2☞

„ორი აქტივობის—დედის დღისა და წარჩინებულ მოსწავლეთა მედლებით დაჯილდოების გაერთიანება შემთხვევით არ მომხდარა. შვილების წარმატება ხომ დედებისათვის უდიდესი ჯილდო და საჩუქარია, ისევე როგორც მასწავლებლებისათვის. ასეთი ლამაზი და საამაყო მილოცვა გაუკეთეს დედებს, შვილებმა, რომლებიც მაყურებელთა დარბაზში მრავლად იყვნენ და ასევე მათი აღმზრდელი სკოლების წარმომადგენლებს, დირექტორებსა და მასწავლებლებს“—თქვა მან.

შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქალბატონი **ქეთევან შეყრილაძე,** იგი ხაზს უსვამს წლევანდელი გაზაფხულის განსაკუთრებულ ხიბლსა და იმ აქტივობებს, რომლებმაც მრავალ თერჯოლელ ქალბატონს სიხარული განაცდევინა. შემდეგ კი სიამაყით მოიხმობს სცენაზე ახალგაზრდებს, რომლებმაც წარმატებული სწავლით ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაასრულეს 2022-2023 სასწავლო წელი, მათი რიცხვი 74-ს შეადგენს, რასაც დარბაზში აპლოდისმენტებიც მოჰყვა.

ულამაზესი გოგო-ბიჭები სცენისაკენ მიემართებიან, ისინი ბევრნი არიან და ვიდრე სცენაზე განლაგდებიან საზეიმო საღამოზე მოწვეულ სტუმრებსა და ღონისძიების მონაწილეებს მიესალმებიან მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ბარათაშვილი** და მუნიციპალიტეტის მერი **მანუჩარ რობაქიძე:**

„საოცარი და ულამაზესი დღე იყო დღეს თერჯოლაში, აღნიშნა გიორგი ბარათაშვილმა. ყველას გილოცავთ, ძვირფასებო, გაზაფხულსა და მის ლამაზ სადღესასწაულო დღეებს, გახარებულები და ბედნიერები ბრძანდებოდეთ. დღევანდელ დღეს ვულოცავ აგრეთვე ჩვენს მომავალ თაობას, რომლებმაც წარჩინებული სწავლით თავი გამოიჩინეს და ჯილდოები დაიმსახურეს...“

მანუჩარ რობაქიძე: „მოგესალმებით ყველას, მოგილოცავთ დღევანდელ დღეს... დღეს ძალიან დიდი და ბედნიერი დღე იყო ამ პატარა დარბაზში. ყველამ ერთად ვნახეთ, რა შეუძლია თერჯოლას, მის კულტურის სფეროს, ჩვენს საუკეთესო სიმღერებისა და ქორეოგრაფიულ ანსამბლებს, მინდა მადლობა გადავუხადო მათ ხელმძღვანელებსა და ანსამბლის თითოეულ წევრს, დღეგრძელობა და დიდხანს მოღვაწეობა ვუსურვო...

მინდა ქალბატონ თინათინს (პატარიძეს) კიდევ ერთხელ მივესალმო, მადლობა ვუთხრა იმ ღვაწლისა და უამრავი ნიჭიერად შესრულებული როლისათვის, რომელიც ჩვენი რაიონის თეატრალური ხელოვნების განვითარებას ემსახურება მრავალი წლის განმავლობაში.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს ახალგაზრდობას, რომლებმაც კიდევ უფრო გაალამაზეს დღევანდელი დღე.

განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაწესებული ოქროსა და ვერცხლის ჯილდოები, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების წახალისებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, რომელსაც სახელმწიფო უკვე 15 წელია ახორციელებს და მომავალი თაობის აღზრდას, განვითარებას და მათი მოტივაციის ამაღლებას ემსახურება. ოქროსა და ვერცხლის მედალი ეს არის სიმბოლო დაუღალავი შრომის, მიზანდასახულობის და პასუხისმგებლობის. ნამდვილად საამაყო და სასიხარულოა თითოეული თქვენგანის წარმატება.

74 მედალოსანი ჩვენი პატარა მუნიციპალიტეტისათვის პატარა საქმე ნამდვილად არ არის, მე მჯერა თქვენი ახალგაზრდებო, თქვენ ნამდვილად იტყვით ღირსეულ სიტყვას ჩვენი ქვეყნის წარმატებული მომავლის მშენებლობის საქმეში.

მინდა მადლობა ვუთხრა თქვენს აღმზრდელებს და ჩვენს წარმატებულ საგანმანათლებლო რესურსცენტრს და მის ხელმძღვანელს, ქალბატონ ქეთევანს, რომელიც ღირსეულად უძღვება ამ სფეროს ჩვენს მუნიციპალიტეტში.

მინდა მადლობა გითხრათ ყველას, ვინც აქ მობრძანდით, მათაც ვისაც არ ჰქონდა ეს შესაძლებლობა, მაგრამ უხარია ის რაც პოზიტიურად ხდება თერჯოლაში...

და ბოლოს, მადლობა ჩვენი საღამოს საუკეთესო წამყვანს ქალბატონ ნანა ამირანაშვილს“—განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა.

„მრავალჟამიერით“, ქართველთა უკვდავების ჰიმნით დაასრულა ანსამბლმა „მასპინძელმ“ თერჯოლაში გამართული კიდევ ერთი ულამაზესი საღამო.

მზია ცქიფურიშვილი

2022-2023 სასწავლო წლების კურსდამთავრებული ოქროს და ვერცხლის მედალოსნები

ქალაქ თერჯოლის №1 საჯარო სკოლა

ბუხრაშვილი მარიამი, ოქრო. გვენეტაძე ანა, ოქრო. გიორგაძე ელენე, ოქრო. კალატოზი გიორგი, ოქრო. კოვზირიძე თამარი, ვერცხლი. მუჯირი მარიამი, ოქრო. ნიკოლაძე ნინო, ოქრო. ოქრუაძე ქეთევანი, ოქრო. უფლისაშვილი გიგი, ოქრო. ქოჩიაშვილი მარიამი, ოქრო. ჯანელიძე ბარბარე, ოქრო.

ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლა

ბრეგვაძე თეკლე, ოქრო. კახიძე ნატა, ოქრო. მაკარიძე ლიზი, ოქრო. მორალიშვილი დავითი, ოქრო. ჩარკვიანი მარიამი, ოქრო.

ალისუბნის №1 საჯარო სკოლა

არაბიძე მარიამი, ოქრო. ერგემლიძე ელა, ოქრო. ხუჯაძე სალომე, ოქრო.

ალისუბნის №2 საჯარო სკოლა

კერესელიძე თეონა, ოქრო. სახელაშვილი ანა, ოქრო.

ახალთერჯოლის საჯარო სკოლა

აბჟანდაძე ნინო, ოქრო.

ბარდუბნის საჯარო სკოლა

ბოგვერაძე ალექსანდრე, ოქრო.

გოგნის საჯარო სკოლა

ისაკაძე ბაგრატი, ოქრო. ლორთქიფანიძე ლია, ოქრო.

გოდოგნის საჯარო სკოლა

ამბროლაძე გიორგი, ოქრო.

ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა

ბრეგაძე ირმა, ოქრო. გოგოლაშვილი ლიკა, ოქრო. თორთლაძე გურამი, ოქრო. კლდიაშვილი მანანა, ვერცხლი. ქასრაშვილი შოთა, ოქრო.

თუზის საჯარო სკოლა

გოგბერაშვილი გაგა, ვერცხლი. გურჯიძე გიორგი, ოქრო. ჩაფიჩაძე მარიამი, ვერცხლი. ჩაფიძე ლიკა, ოქრო.

ნაგარევის საჯარო სკოლა

ხუჯაძე იოანე, ოქრო.

სიქთარვის საჯარო სკოლა

ბასილაია ზურაბი, ოქრო. გიორგაძე ქრისტინე, ოქრო. კვატაია ბაქარი, ოქრო. მუმლაძე გიორგი, ოქრო. რობაქიძე ბექა, ოქრო.

ქვედა სიმონეთის №1 საჯარო სკოლა

ბლიაძე დოდო, ვერცხლი. კლდიაშვილი მარიამი, ვერცხლი. ცქიფურიშვილი შაკო, ვერცხლი. გვენეტაძე თათია, ვერცხლი. გიორგაძე მარიამი, ვერცხლი. ცირეკიძე თორნიკე ოქრო, ხოხიაშვილი სალომე, ვერცხლი.

ღვანკითის საჯარო სკოლა

ბუსკივაძე ნატალი, ოქრო. გავაშელაშვილი ზურა, ოქრო. კოვზირიძე ლევანი, ოქრო. კუბლაშვილი ანანო, ოქრო. ქარქაშაძე თათია, ოქრო. ცერცვაძე მარიამი, ოქრო.

ჭოგნარის საჯარო სკოლა

ელიავა გიორგი, ოქრო. ლანჩავა ფატიმა, ოქრო. მახარაშვილი ანი, ვერცხლი. სულაქველიძე გიორგი, ვერცხლი. ცხადაბერიძე თამუნა, ოქრო.

ჩხარის №1 საჯარო სკოლა

ამირანაშვილი ნინო, ოქრო. არაბიძე სერგი, ოქრო. ფართლაძე ანნა, ოქრო.

ძევრის საჯარო სკოლა

აბესაძე ხატია, ოქრო. აბჟანდაძე გიორგი, ოქრო. ბრეგაძე ანი, ვერცხლი. გიგაშვილი ანასტასია, ოქრო. ზაქარიაძე აკაკი, ოქრო. კუტალაძე ნიკოლოზი, ოქრო. ფორჩხიძე საბა, ოქრო.

„მზეკაბანი-2007“

ანაკიძე ანი, ოქრო. გამსახურდაშვილი ელენე, ოქრო. კირკიტაძე ტარიელი, ოქრო. ცხადაძე ანა, ოქრო. ხოშტარია ნატალი, ოქრო.

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** **599 92 49 75**

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** **599 91 24 14**

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:

ჟ. ცხადაძე—558 90 82 55

მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:

ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:

„ლიბერთი ბანკი“

LBRTGE22,

ანგარიში

GE32LB0113133960124000

ს/კ 231948872